პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 3 კაპ.

# კომუნისტი

პირველ და მეორე ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილებების ორგანო

წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლუნაჩარსკის (ყოფ. ევანგულოვის) ქუჩა № 2.

დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ხელის მოწერის პირობები: ცალკე ხელის მომწერთათვის 1 თვით—35 კ., 3 თვით—90 კაპ. 6 თვ—1 მ. 70 კ., 12 თვ.—3 მ. 20 კ.
წ. თელ არმიელებ სათვის კოლექტიური ხელის მოწერა: 1 თვით—30 კ. 3 თვით—80 კაპ. 6 თვით—1 მ. 50 კ. ერთი წლით 3 მან.
განცხ. ფასი 1 გვ.—80 კ. სტრ. მე-4-ზე—40 კ.

140 (1135) | ხუთშაბათი, 29 ივლისი 1926 წ. | 140 (1135)

## [მ]უდამ გახსოვდეს ეს წითელ არმიელო!

ჩვენს გაზ. „წითელ არმია-ში" გამოქვეყნდა საბჭოთა [კ]ავშირის რევსამხსაბჭოს ბრძანებები 1902 წ. დაბადებულთა [წ]ითელ ჯარიდან გაშვების და 1904 წლის წითელ ჯარში გაწვევის შესახებ.

პირველ ყოვლისა თითეული წითელ არმიელი მოვალე არის კარგად გაეცნოს ორივე ამ ბრძანებებს. პირველს—იმიტომ, რომ კარგად იცოდეს და გარკვეული იყოს გრძელვადიან შვებულებაში გაშვების წესებ[ში].

მეორეს—უნდა გაეცნოს იმ [მიზ]ნით, რომ სახლში დაბრუნებისას ფართოდ და ნათლად [გა]ნუმარტოს გასაწვევ მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას გაწვევის ყველა წესები.

ამ ბრძანებების გამოქვეყნებასთან ერთად ჩვენ არ შეგვიძლია კიდევ ერთხელ ხაზი არ [გა]უსვათ შემდეგ გარემოებას: [გ]აზაფხულო სწავლება ერთიორად გაძლიერებულ უნდა [იქ]ნას, არავითარ შემთხვევაში წითელი ჯარიდან წასვლის მოახლოებამ არ უნდა [შე]ცრუვოს გული წითელ არმიელებს მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკურ მეცადინეობაზე.

[ა]რც სოფლად მუშაობისათვის მზადებამ არ უნდა დაჩრდილოს წითელი არმიელის საბრძოლო მომზადების საქმე.

პირიქით ყოველი წითელ მებრძოლი ვალდებულია მეტის [ენე]რგიით, მეტის გულმოდგინებით დაეწაფოს სამხედრო [მეც]ადინეობას. მით უმეტეს ეს [ახ]ლა საჭიროა ეხლა, როცა [გაზ]აფხულო სწავლება უახლოვდება თავის უმნიშვნელოვანეს [ნაწ]ილს—მანევრებს. ეს უკანასკნელი საბრძოლო მომზადების გამოცდაა, როგორც მთელი ჯარისთვის, ცალკე ნაწილებისათვის, ისე ყველა წითელი მებრძოლისათვის.

[ა]მიტომაც გაასკეცებული ძალით და ენერგიით უნდა [გა]აგრძოს წითელ არმიელმა სამხედრო სწავლება, რომ მანევრების დროს ჩინებულად ჩააბაროს გამოცდები სამხედრო მომზადების მხრივ.

ეს იქნება საუკეთესო პასუხი რევსამხსაბჭოს ბრძანებებზე. ყველა ზარმაცებს და დაუდევრებს უნდა გამოეცხადოს სასტიკი ბრძოლა თვით წითელ არმიელების მიერ. ის მებრძოლი რომელიც ხელს იღებს მუყაით სწავლებაზე და მუდამ დღე მხოლოდ სახლში დაბრუნების შესახებ იფიქრებს—ცუდი დამცველია მუშების და გლეხების ინტერესების.

მას ავიწყდება ჯერ ერთი ის, რომ გრძელვადიან შვებულებაში წასვლის შემდეგაც ის ითვლება სამხედრო ვალდებულად და არა ერთხელ იქნება გაწვეული გასამეორებელ შეკრებებზე.

მეორე, ამ შეუგნებელ წითელ არმიელებს ავიწყდებათ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა, რომელიც გვიკარნახებს ჩვენ, რომ განუწყვეტლივ უნდა ვზრუნავდეთ საბჭოთა კავშირის თავდაცვითი უნარის ამაღლების შესახებ.

მესამე, რაც უფრო ვიზრდებით ჩვენ მით უფრო იზრდება გარეშე საფრთხეც. მსოფლიო კაპიტალისტები კბილებს ილესავენ ჩვენზე.

აი რა ავიწყდებათ მათ, ვინც შეასუსტებს სამხედრო სწავლებას. ყოველივე ამის დავიწყება კი ნიშნავს მუშების და გლეხების საქმისადმი შეგნებულ თუ შეუგნებელ ღალატს.

მოღალატეებს კი ჩვენს რიგებში არ აქვს ადგილი. მაშასადამე არც სიზარმაცეს, არც დაუდევრობას, არც თვალთმოქცეობას და თავის ვალდებულებებისადმი შეუგნებელ მოპყრობასაც არა აქვს ადგილი.

ერთი ორად განვაგრძოთ სამხედრო სწავლება, რომ რაც შეიძლება უფრო კარგად სამხედრო საქმეში მომზადებული წავიდეთ გრძელვადიან შვებულებაში.

## [ს]პორტიული ოლიმპიადის დასრულების გამო

[კ]ავკასიის წითელ დროშოსან არმიის მეხუთე სპორტიული ოლიმპიადა დასრულდა. [შ]ედეგები მეტად ნაყოფიერია.

ოლიმპიადაზე მონაწილეობა [მი]იღეს არმიის თითქმის ყველა [ნაწ]ილებმა, მათ შორის ქართული ნაწილებმაც. პირველი, [რა]ც დაგვანახა ოლიმპიადამ—ეს [ს]პორტის ზრდა წითელ დროშოსან არმიაში, კერძოდ ჩვენ [ქარ]თულ წითელ ჯარში.

[ის] ფაქტი, რომ პირველ ქართულ დივიზიამ პირველი ადგილი დაიჭირა ოლიმპიადაზე, საუკეთესო მაჩვენებელია იმისა, რომ სპორტის საქმე წინ წაიწია ქართულ ნაწილებში, მაგრამ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ სპორტი ჩვენს წითელ ჯარში ჯერ კიდევ არ ატარებს მასიურ ხასიათს, მასში არ არის მიზიდული ყველა მებრძოლი. ეს კი დიდი დანაკლისია. სპორტი წითელ ჯარში საჭიროა არა გართობის მიზნით, არამედ მებრძოლის ფიზიკური აღზრდისათვის. სპორტი პირველ ყოვლისა უნდა იყოს მთავარი ხელის შემწყობი წითელ არმიელის საბრძოლო მომზადების.

ძალა და სიმარდე—აი მთავარი თვისებები, რომელიც ესაჭიროება თანამედროვე მებრძოლს. სამხედრო ტექნიკის განვითარება, საბრძოლო ტაქტიკის გართულება—მოითხოვს წითელ მებრძოლისაგან სწრაფად მოქმედებას და მოძრაობას.

მან ადვილად უნდა გადალახოს დიდი მანძილი, სხვა და სხვა ბუნებრივი თუ ხელოვნური დაბრკოლებანი.

ერთი სიტყვით გამძლეობა, სისწრაფე მოქმედებებში, თაოსნობის გამოჩენა რთულ პირობებში, სიმარდე, გულადობა—აი ყველა ის თვისებები რომლებიც უნდა ახასიათებდეს თითეულ წითელ მოლაშქრეს. ამ თვისებების გამომუშავებას კი ხელს უწყობს სპორტი.

აი ამიტომაც საჭიროა, რომ სპორტი ფართოდ განვითარდეს ჩვენს წითელ ჯარში, ჩათრეულ იქნას მასში ყველა წითელ არმიელი სათითაოდ. მეხუთე ოლიმპიადამ საუკეთესო მიღწევები დაგვანახა სპორტის სხვა და სხვა დარგში. საჭიროა რომ ოლიმპიადის მონაწილეებმა მიღებულ გამოცდილება ოლიმპიადაზე, მისი მიღწევები გადასცენ სხვა მებრძოლებს და ყოველმხრივ ხელი შეუწყონ სპორტიულ საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას ჩვენს ნაწილებში.

მასიური სპორტი, სპორტი წითელ არმიელთა მასისათვის—აი ამ ლოზუნგის ქვეშ უნდა წარიმართოს მომავალში სპორტიული მუშაობა ჩვენს წითელ ჯარში.

რაც უფრო ღრმად და ფართოდ გაიდგამს ფეხს სპორტი წითელ ჯარში, მით უფრო მაღლა აიწევა ამ უკანასკნელის საბრძოლო უნარი და გაიზრდება მისი ძალაც.

—ი.

## ინგლისის მაღაროს მუშები მტკიცედ განაგრძობენ ბრძოლას

### მთავრობისა და მეპატრონეთა ცდებმა ვერ გასტეხეს ბრძოლის ერთიანი ფრონტი

მთამაღნის მუშათა კავშირის მდივანმა კუკმა მიმართა საფრანგეთის მუშებს მოწოდებით, რომელშიაც ნათქვამია:

„ინგლისის მთა-მაღნის მუშები განაგრძობენ ბრძოლას მაღაროს პატრონების წინააღმდეგ. ევროპის მუშებს შეუძლიათ დიდი დახმარება გაუწიონ ინგლისელ ამხანაგებს ნახშირის ამოღების შემცირებით, ხოლო ნავთსადგურის მუშებს—ინგლისისთვის ნახშირის დატვირთვის შეწყვეტით.

ინგლისის მუშათა დამარცხება—ეს იქნება ევროპის მუშათა დამარცხება. დარწმუნებული ვარ, რომ საფრანგეთის მუშები აასრულებენ თავის ვალს."

### მუშაობს მხოლოდ 15.000 კაცი.

მუშათა რიცხვი, რომლებმაც განაახლეს მუშაობა, არ აღემატება 15 ათას კაცს. სულ კი წინად მუშაობდა 1.250.000 მუშა.

გაფიცულები მტკიცედ სდგ ნან თავის გადაწყვეტილებაზე. მთავრობისა და მაღაროს პატრონების ყოველგვარმა ცდებმა ვერ მოსპო მუშები და ვერ გასტეხა ბრძოლის ერთიანი ფრონტი.

## კუკის მოწოდებაზე გაიფიცა 2.000 მუშა

ქურვიკშაირის ორიათასზე მეტმა მაღაროს მუშამ, რომლებმაც ის-ის იყო განაახლეს მუშაობა, კვლავ გაიფიცა კუკის მოწოდებაზე.

## პუანკარე შეუდგა მუშაობას

### მშრომელთა ხარჯზე

საფრანგეთის ახალი მთავრობა საფრანგეთის მდგომარეობის ხსნას ხედავს არა პირდაპირ გადასახადების გადიდებაში პირველი მოთხოვნილების საგნებზე, რაც შემოიტანს სახელმწიფოს 4 მილიარდ ფრანკს (ფრანკი—37 კაპ.)

ამრიგად ახალი მთავრობა იცავს მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს და სურს ადადგინოს საფრანგეთის მეურნეობა მშრომელთა ხარჯზე, ვინაიდან გადასახადი კაპიტალისტების შემოსავალზე უდრის მხოლოდ 2 პროცენტს.

ფულის კურსის დაცემის გამო პურის ფასი საზღაპროდ აიწია.

## საბჭოთა კავშირში

### [ია]პონელი სტუდენტები ლენინგრადის [...] უნივერსიტეტში

[...]იდა იაპონელი სტუდენტი—ეკონომისტების ლენინგრადში ჩამო[...]იან ლენინგრადის უნივერსიტეტში ერთი ჯგუფი, რომლებიც შედ[...]ნტები ლენინგრადში დაჰყოუმაღლეს სწავლის მისაღებად. სტუდ[...] ფენ სამ წელიწადს.

### [...]ია კი[...] ბელგიის მუშათა დელეგაცია[...]ევში

ჩამოვიდა ბელგიის მუშათა დელეგაცია, რომელსაც შეხვდა სადგურზე კიევის მუშები.

დელეგაციის წევრებმა განაცხადეს, რომ არავის არ შეუძლია ხელი შეუშალოს მათ სიმართლის თქმაში საბჭოთა კავშირის შესახებ.

### საბჭოთა დიდი გადაფრენები

ამ ხანებში საბჭოთა საჰაერო ფლოტმა მოაწყო ორი დიდი გადაფრენა: ერთი სპარსეთში და მეორე ოსმალეთში. გადაფრენები ბრწყინვალედ ჩატარდა, რამაც აშკარად დაგვანახა წითელი მოტორების საუკეთესო თვისებები და ჩვენი მფრინავების გამბედაობასიმტკიცე და მხნეობა.

ეს გადაფრენები აშკარად მოწმობენ, რომ შორს არაა ის დრო, როცა მუდმივი საჰაერო ხაზი მოეწყობა ჩვენი კავშირიდან სპარსეთსა და ოსმალეთში.

### ოსმალეთის გაზეთი საბჭ. გადაფრენის შესახებ

ოსმალეთის მთავრობის გაზეთში გამოქვეყნებულია წერილი საბჭოთა მფრინავების იქ ჩასვლის შესახებ. გაზეთი სწერს: „საბჭოთა კავშირისა და ოსმალეთის მეგობრობა აღბეჭდილია აღმოსავლეთისა და საბჭოთა კავშირის მოქალაქეების გულში. ორივე ხალხს საერთო ინტერესები უკარნახებს ერთმანეთთან დაახლოებას. ჩვენი სტუმრები დარწმუნდებიან იმაში, თუ რა სიყვარულით არის გამსჭვალული ოსმალეთის ხალხი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მოღვაწეების—ჩიჩერინის, სურიცისა და სხვების მიმართ. ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა უდიდესი ფაქტორია საერთო მშვიდობიანობის დაცვის საქმეში, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთში".

## საქართველოში.

### აჭარისტანისა და ოსმალეთის საზღვრები

ოსმალეთ-საბჭოთა შერეულ კომისიამ, რომელსაც უნდა დაეწესებია საზღვრები აჭარისტანისა და ოსმალეთს შორის, უკვე დაამთავრა თავისი მუშაობა.

### თივის დამზადება

ახალქალაქის ერთიან მომხმარებელ საზოგადოებამ დასდო სამხედრო ნაწილებთან და დაწესებულებებთან ხელშეკრულება, რომლის ძალითაც უკანასკნელთ უნდა დაუმზადოს მან 25 ათასამდი ფუთი თივა. თივის დამზადება უკვე დაწყებულია.

### დახმარება ინგლისელ მემაღაროელებს

ახალსენაკის მოსამსახურეთა საქალაქო კრებამ დაადგინა გააგრძელოს შემოწირულებათა შეკრება ინგლისში გაფიცულ მემაღაროელების სასარგებლოდ დღიური ქირის ერთი მეოთხედის გაღებით.

### მატყლის დამზადება

ახალქალაქის ერთიან მომხმარებელ საზოგადოების მიერ შემოდგომის სეზონისთვის დამზადებული იქნება კიდევ 3000 ფუთამდე მატყლი.

## არმიის მე-5 ოლიმპიადა.

### მიღწევები დიდი გვაქვს, მაგრამ ამაზე არ გავჩერდებით.

დასრულდა არმიის მე-5 ოლიმპიადა.

პირველი ადგილი ოლიმპიადაში დაიკავა პირველ ქართულ დივიზიის ჯგუფმა.

ამხ. ელიავამ „ინტერნაციონალის" ჰიმნზე გადასცა ჯგუფს დროშა და მარმალილოს საათი.

მეორე ადგილი ოლიმპიადაში დაიკავა ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის ჯგუფმა (პრიზი—ლენინის ქანდაკება).

მესამე ადგილი ოლიმპიადაში და მეორე—კ. წ. დ. ა. ჯარის ნაწილებში დაიკავა კავკასის მეორე მსროლელ დივიზიის ჯგუფმა (გერმესის ბრინჯაოს ქანდაკება).

მე-4 ადგილი ოლიმპიადაში და მესამე ადგილი ჯარის ნაწილებში—აზერბ. დივიზიამ (ვერცხლის კოვზი).

### ამხ. ელიავას სიტყვა

მე-5 ოლიმპიადამ დაგვანახვა ჩვენ საუკეთესო მიღწევები, მაგრამ ჩვენ ამაზე არ გავჩერდებით. ჯგუფები, რომლებმაც წელს დაიკავეს მე-2 და მე-3 ადგილი, შეეცდებიან წინ წავიდენ; მაგრამ ყოველივე ამან ჩვენში არ უნდა დაბადოს პირველი ადგილის მიღების სურვილი. ეს კი არაა ჩვენი ამოცანა, არამედ ის, რომ გვყავდეს ისეთი ჯგუფები, რომლებიც გათანასწორებულ იქნან ყოველმხრივ და ჰქონდეთ ჰარმონიული ფიზიკური განვითარება. ესაა ჩვენი მორიგი ამოცანა. ბურჟუაზიულ ქვეყნებში საქმე ასე არ სდგას: იქ სპორტს აქვს ეროვნულ სიამაყის მნიშვნელობა, ბრძოლას მიღწევებისთვის აქვს ეროვნული ხასიათი. ჩვენ კი გვაქს ერთად ერთი სიამაყე, ყოველგვარ ეროვნულ ხასიათს მოკლებული—ესაა საბჭოთა სიამაყე. ხოლო როცა სხვა სახელმწიფოებშიც იქნება საბჭოთა ხელისუფლება, მაშინ კაცობრიობა ეცდება ადამიანის ყოველმხრივ სრულქმნას, და ფიზიკურად და სულიერად სრულქმნილი ადამიანი გახდება განუსაზღვრელი ბატონი თავისუფალ სტიქიისა. მაშინ ჩვენ ვიტყვით, რომ კაცობრიობამ მიაღწია თავის მიზანს.

შემდეგ ამხ. მელნიკოვი ულოცავს მონაწილეთ საუკეთესო მიღწევებს.

ბოლოს ამხ. მელნიკოვის წინადადებით ამხ. ელიავას ირჩევენ კ. წ. დ. არმიის ფიზკულტურის საპატიო წევრად. ზეიმი თავდება ცერემონიალურ მარშით.

ზ. მ.

# უპარტიო წითელ არმიელთა კონფერენცია

## მე-2 ქართ. მსრ. დივ. თბილისში მდგომ ნაწილებისა.

### პირველი დღე

კონფერენციის პირველი სხდომა შესდგა ივლისის 24 საღამოს 7 საათზე მე-6 ქართ. მსრ. ლეგ. კლუბში. კონფერენციამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ამხ. ძერჟინსკის ხსოვნას. ორკესტრის მიერ შესრულებულ იქნა სამგლოვიარო მარში.

შესავალი სიტყვა წარმოსთქვა პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილემ ამხ. ბეჟუაშვილმა. მან აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს წითელ არმიელთა კონფერენციებს ტერიტორიული ნაწილების განმტკიცებისათვის და მოუწოდა კონფერენციის დელეგატებს საქმიან და ნაყოფიერ მუშაობისაკენ.

მომხსენებელი იქნა არჩეული პოლიტსამმართველოს მოლოღვაი საქმიან პრეზიდიუმში არჩეულ იქნა 11 ცვალებადელი წითელ არმიელი, საპატიო პრეზიდიუმში—ამხ. სტალინი, ვოროშილოვი, ორჯონიკიძე, ლევანდოვსკი და რატბუა.

კონფერენციის დღის წესრიგი დამტკიცებულ იქნა შემდეგ რიგად: 1) ს. ს. რ. კ. საერთაშორისო მდგომარეობა 2) 1903 წლის დაბადებულ ცვალებადელთა მომზადების შედეგები, 3) მზადება საერთო შეკრებისთვის, 4) შეკრებათა შორის მუშაობა და ცვალებადელების ამოცანები.

ს. ს. რ. კ. საერთაშორისო მდგომარეობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ჩხენკელმა, რომელმაც ნათლად გაარკვია ჩვენი კავშირის შინაური მდგომარეობა და ურთიერთობა კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან. მოხსენების ირგვლივ იყო მრავალი ზეპირი და წერილობითი შეკითხვები, რაზედაც გაიცა პასუხი. სხდომა დაიხურა საღამოს 10 საათზე, რის შემდეგაც კონფერენციის წევრებისათვის ნაჩვენები იყო კინო-სურათი.

### მეორე დღე

კონფერენციის მეორე სხდომა შესდგა ივლისის 25 დილის 9 საათზე. სხდომაზე მოსმენილ იქნა მე-6 ლეგიონის მეთაურის ამხ. გრიგოლიას, მე-2 საარტ. ლეგიონის პარტბიუროს მდივნის ამხ. კულტმეცადინეობის მოხსენება 1903 წლის დაბადებულ ცვალებადელების შეკრების შედეგებზე.

მომხსენებლები შეეხნენ შეკრების ჩატარებას და აღნიშნეს, რომ მიუხედავად ზოგიერთი დამაბრკოლებელი მიზეზებისა, ცვალებადელნი გამოცხადდნენ ულევლად. მოსახლეობამ შეკრებას შეხვდა სრული თანაგრძნობით და ყოველგვარ დახმარებას უწევდა სამხედრო ორგანოებს. მომხსენებლების მიერ მოცემულ იყო დახასიათება ცალკე ლეგიონების შეკრების რაიონებში.

ყაზარმაში როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური მეცადინეობა მიმდინარეობდა წარმატებით, პროგრამა ცვალებადელების მიერ დაძლეულია. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია თითქმის დამთავრებულია.

მიღწევებთან ერთად მომხსენებლებმა აღნიშნეს ის ნაკლი, რომელიც იყო ... ის არის უწყინრის მეთაურების სათანადოდ მომზადების და ის გარემოება, რომ ლეგიონებში მრავლად არის სხვადასხვა ეროვნებების წარმომადგენლები და მათთან შეუძლებელია სამხედრო მეცადინეობის წარმოება მათ ენაზე, ვინაიდან ჩვენში მეთაურებმა არ იციან უცხო ენები.

### მესამე დღე

26 ივლისის სხდომაზე გაიმართა კამათი მოხსენებების ირგვლივ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს შემდეგ ამხანაგებმა: გეგეჭკორმა (მესანგრე ას.), ივანოვმა, ხაჩატუროვმა, გოისაშვილმა, ფანცულაიამ, იოსებაშვილმა და გეორგობიანმა, (ყველა მე-6 ლეგ.) ამხ-ბი აღნიშნავდენ იმ უდიდეს მიღწევებს, რომელიც აქვს ტერიტორიალურ სისტემას ჩვენ სინამდვილეში; ამბობდენ, რომ ისინი მოვიდენ ყაზარმაში სრულიად უცოდინარი და 2 ნახ. თვეში შეიძინეს საკმაო სამხედრო და პოლიტიკური ცოდნა.

ამასთანავე ერთად ამხანაგები შეეხნენ ზოგიერთ ნაკლს, რომელიც თან სდევდა სამხედრო და პოლიტიკურ სწავლებას და აგრეთვე ტერიტორიალურ შეკრების პროცესს. აღნიშნული იყო, რომ გაწვევის დროს ექცევა ნაკლები ყურადღება ახალგაზრდების საექიმო შემოწმებას, რის გამო ყაზარმაში მოდის ბევრი ავადმყოფი ამხანაგები.

ამხანაგები შეეხნენ სამოსწავლო პროგრამას და გამოსთქვეს ის აზრი, რომ ვინაიდან შეკრების დრო ძალიან ცოტაა, ამიტომ საჭიროა რომ გადიდებულ იქნეს წვევამდელ მზადების პროგრამა. ამით გაადვილდება შეკრებაზე სწავლება და ცვალებადელი შეიძენს მეტ ცოდნას.

კამათში აღნიშნული იყო შინაურ ცხოვრების ზოგიერთი ნაკლი.

რადგან კამათში მონაწილენი ბევრი იყვნენ, კამათის გაგრძელება გადიდო შემდეგი სხდომისთვის.

სხდომის დასასრულს გაიმართა კლუბში საბალეტო საღამო მოსკოვის სახელმწიფო ბალეტის მსახიობთა მიერ.

# 1904 წელში დაბადებულთა ჯარში გაწვევა

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

## სსრკ-ს რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოსი

ქ. მოსკოვი № 368 13 ივლისი 1926 წ.

1) სავალდებულო სამხედრო სამსახურის კანონის 87 მუხლის მიხედვით 1904 წელში დაბადებულ მოქალაქეთა გაწვევა ნამდვილ სამხედრო სამსახურში საბჭოთა კავშირის მთელს ტერიტორიაზე ჩატარდეს ა. წ. 15 სექტემბრიდან 1-ლ ნოემბრამდი.

გაწვევის სწორი ვადა თვითეულ სამხედრო ოლქისთვის დააწესონ საოლქო ჯარების უფროსებმა.

გაწვევა ჩრდილოეთ რაიონებში: ჩრდილო-დვინის, არხანგელის, ვოლოგდის, მურმანის გუბერნიებში, კომის ავტონომიურ ოლქში, ვიატკის გუბერნიაში, ტობოლის ოლქში, მარიისკის ავტონომიურ ოლქში, ბაშკირიის სსრ-ს ბირსკის კანტონში, ამურის ნიკოლაევის ოლქში, ტარსკის ოლქში, ტომის ოლქის ნარიმის რაიონში დაწყებულ იქნას 15 სექტემბრიდან.

2) 1904 წლიანთა გამოწვევასთან ერთად, გამოწვეულ იქნას 1901, 1902 და 1903 წლებში დაბადებულები, რომლებსაც გაუთავდათ გაწვევაში შეღავათის ვადა განათლების ან დაუვაჟკაცებლობის გამო.

3) საბჭოთა კავშირის ადგილებისა და ერების მოქალაქეთა გაწვევის შესახებ, რომლებიც 1925 წლის გაწვევის დროს არ ყოფილან გაყვანილი სამხედრო სამსახურში,—გამოცემულ იქნება განსაკუთრებული მითითებანი საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს მიერ (მუშურ-გლეხური წითელი არმიის მთავარ სამმართველოს ხაზით).

4) გაწვევაზე გამოცხადებისაგან გათავისუფლებულ იქნას 1904 წელში დაბადებულთაგან ის მოქალაქეები, რომლებიც გაწვევის მომენტში იმყოფებიან მ. გ. წ. ა. რიგებში ნამდვილ სამხედრო სამსახურში.

5) მოქალაქეები, რომლებიც გამოწვეული არიან გასულ წელში და წინად უმსახურიათ მ. გ. წ. ა. ნამდვილ სამხედრო სამსახურის სამწყობრო ნაწილების ძირედ შემადგენლობაში, გაერთ. პოლიტსამმართველოსა და მხლებელთა რაზმის ჯარებში—1 წელი და მეტი, ჯარებში მივლენისაგან განთავისუფლდენ და გადაირიცხონ გრძელვადიან შვებულების კატეგორიაში.

6) ცენტრალურ სამმართველოების უფროსებმა არა უგვიანეს 15 აგვისტოსა გადასცენ ოლქებს ყველა საჭირო განკარგულებანი, რომლებიც დაკავშირებული არიან გაწვევასთან.

სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრისა და სსრკ-ს რევსამხსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

უნშლიხტი.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## ჩვენი ახკომკავშირის საქმიანობიდან.

მე 3 ლეგ მე 5 ესეული

ასეულის ახკომკავშირის ჯგუფი აერთიანებს რამოდენიმე წევრებსა და კანდიდატებს, რომლებიც წესიერად ასრულებენ ორგანიზატორის ყველა დავალებებს და მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ ყველა საზოგადოებრივ საქმეებში.

სხვა წითელ არმიელებთან ერთად ისინი ჩაბმული არიან რემედასის, წერკუმსის, ავიაქიმის და სხვა ორგანიზაციებში და ყველგან მაგალითის მაჩვენებელი არიან თავისი საქმიანობით უპარტიო წითელ არმიელებისთვის. ხელმძღვანელობენ ლენინის კუთხეში ხმამაღალ კითხვას. შეიძინეს საკუთარი ფულით სხვა და სხვა წიგნები და გადასცეს ლენკუთხის გამგეობას. გამოუწერეს ნაწილს გაზეთები. მეცადინეობა პარტსკოლებში და უჯრედებში ნაყოფიერად მიმდინარეობს. ამნაირად კავშირის ავტორიტეტი თანდათან იზრდება ასეულში, რაც ბუნებრივად იწვევს წითელ არმიელთა ლტოლვას კავშირის რიგებისაკენ.

ე. ჩხაიძე.

## ჩვენი უჯრედის ცხოვრებიდან

მე-3 ლეგიონის 1-ლი კომუჯრედის მუშაობა კარგად მიმდინარეობს. ის აწარმოებს კულტურულ პოლიტიკურ აღმზრდელობითი მუშაობას როგორც პარტიულ აგრეთვე უპარტიო წითელ არმიელებთან რაც ხელს უწყობს დისციპლინის განმტკიცებას. ვიწვევთ თვეში ოთხჯერ კომუჯრედის კრებას მათ შორის 2-რი დახურულია და 2 რი ღია. კრებას ესწრებიან ყველა პარტიული ამხანაგები თავის დროზე და ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. კრებებზე ისმება ყოველთვე ასეულის საჭირბოროტო საკითხები განსაკუთრებით დისციპლინის გამტკიცების შესახებ. ღია კრებებს ესწრებიან მთელი ასეულის უფპოლიტშემადგენლობა. მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ წითელ არმიელებიც.

გვაქვს კავშირი ფოსტა-ტელეგრაფის უჯრედთან სადაც ვესწრებით იმათ კრებებზე. უჯრედის ერთ კრებაზე დაევალა ერთ ამხანაგს მოაწყოს სამხედრო კუთხე.

სამხკური ბიკაშვილი.

# სამხედრო საქმე განავში.

## მოსახლეობიან წერტის დათვალიერება თარეშის მიერ.

თუ რომ ცხენოსან თარეშების ამოცანაში შედის მტრის აღმოჩენა და გზაზე შეხვდება სოფელი, იმ შემთხვევაში უმჯობესი იქნება მისი დათვალიერება შემდეგნაირად.

მივა თუ არა უკანასკნელ საფარით სოფლის მახლობლად, თარეშის უფროსი ათავსებს ფარულად თავის ცხენოსნებს და თვითონაც თავსდება ფარულად იმ ანგარიშით, რათა შესაძლებლობა ჰქონდეს უთვალთვალოს სოფელს.

შემდეგ თარეშის ძალისა და სოფლის სიდიდის მიხედვით ჰგზავნის მზვერავებს სოფლის დასათვალიერებლად. მზვერავები მოძრაობენ მეტად სწრაფად, ვინაიდან მოძრაობის სისწრაფე საჭიროა იმ მხრივ, რომ დაუჭრელად გადარჩე. თუ რომ სოფელი პატარაა, იმ შემთხვევაში ერთი მზვერავი მიდის მთავარი ქუჩით და ათვალიერებს სახლებს, აწარმოებთა დაკითხვას, ხოლო დანარჩენები თანდათან უვლიან სოფელს გვერდებიდან.

თუ რომ მოსახლეობიანი წერტი დიდია, მაშინ მისი გასინჯვა სწარმოებს ერთსა და იმავე დროს რამოდენიმე მზვერავის მიერ, სხვა და სხვა ქუჩებით, ხოლო მათ შორის კავშირისათვის, შუა ადგილას (მომეტებულად მოედანზე) წესდება საგუშაგო ამასთან ერთად ორი მზვერავთა ჯგუფი უვლის სოფელს ორივ მხრიდან. გაშინჯვის დასრულებამდი არც ერთი მცხოვრები არ უნდა გაიშვას სოფლიდან, რისთვისაც ქუჩების ბოლოებზე და გამოსავალთან აყენებენ გუშაგებს.

მას შემდეგ, როგორც კი მზვერავები დაათვალიერებენ მთელ სოფელს, მისცემენ პირობითი ნიშანს და მთელი თარეში შედის სოფელში. თარეშის უფროსი იწყებს მცხოვრებთა დაკითხვას, საბუთებისა და კორესპონდენციების ხელში ჩაგდებას მთავრობისა და საფოსტო დაწესებულებიდან, რის შემდეგ თარეში განაგრძობს გზას მიცემულ ამოცანის ასასრულებლად.

რ. შ.

# თვალთვალი მტრისადმი.

მტრის აღმოჩენის მიზნით ძიების დროს ცხენოსან მძიებელთა ჯგუფი მოძრაობს საფრიდან საფრამდი. მიაღწევს რა ხელსაყრელ და სათვალთვალოდ მოფარებულ წერტს, ცხენოსან მძიებლების უფროსი ფარულად ათავსებს თავის მხედრებს, ქვეითდება და იწყებს თვალთვალს დურბინდის საშუალებით.

სასარგებლოა ასეთი სათვალთვალო წერტის ამორჩევა დიდი გზების მახლობლად, რომლებიც საუკეთესო მოსასვლელს წარმოადგენს ჩვენს ჯარებზე.

ამ შემთხვევაში ძიებას მარტო თვალთვალითაც კი დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია. განსაკუთრებით კი მაშინ თუ რომ მძიებლები შესძლებენ შეიჭრან შეუმჩნევლად მტრის მძიებელ და დამცველ ნაწილების ზურგში, სადაც მთავარი ძალების რულიად უშიშრად და გაუფრთხილებლად მოძრაობენ, ვინაიდან იმედებს ამყარებენ თავიანთ დამცველ ძალებზე, რომლებიც წინ იმყოფებიან განსაზღვრულ მანძილზე.

ამ შემთხვევაში ძიების უფროსს სულ ადვილად შეუძლია განსაზღვროს დურბინდის საშუალებით მოძრავი მტრის ძალა, ე. ი. შეკრიბოს ძვირფასი ცნობები, რომლების მიღება ხშირად მხოლოდ ბრძოლით თუ შეიძლება.

მაგრამ, მოძრავი ძალების სწორი შეფასებისთვის საჭიროა მძიებლებმა კარგად იცოდენ ყველა დამახასიათებელი ნიშნები, რომელთა მიხედვით ისაზღვრება რაზმების სიდიდე, ე. ი. სხვა და სხვა შეერთებულებათა სიგრძე. ადგილზე, რაზმის განსაზღვრა იარაღის ბრჭყვიალისა და ხმაურობის მიხედვით და თუ შესაძლებელი იქნება, სასურველია ყური დაუგდო ლაპარაკსა და უფროსთა განკარგულებებს.

ფ. შ.

# შეღავათები ჯარში გაწვევის დროს

### რა და რა სახისაა შეღავათები.

სავალდებულო სამხედრო სამსახურის კანონით დაწესებულია შეღავათების სამი კატეგორია:

1-ლი კატეგორიის შეღავათი—ოჯახის ერთად-ერთ შრომის უნარიან წევრს, თუ რომ ოჯახში მოიპოება 3 და მეტი შრომის უნარს მოკლებული ოჯახის წევრები, რომლებიც იმყოფებიან გასაწვევის მზრუნველობის ქვეშ.

მაგალითად: ცოლი ბავშვით 2 წლამდი და დედა 50 წ. ზევით, ე. ი. ოჯახის სამი შრომის უნარს მოკლებული წევრი. მეორე მაგალითი: მამა 55 წლიანს ზევით, და 14 წლიანი, ძმა ხუთწლიანი და ინვალიდი ძმა—4 შრომის უნარს მოკლებული.

მეორე კატეგორიის შეღავათი—ოჯახის ერთად-ერთ შრომის უნარიან წევრს, თუ რომ ოჯახში არის ერთი ან ორი შრომის უნარს მოკლებული წევრი, რომლებსაც ინახავს გასაწვევი პირი.

მაგალითად: ცოლი ბავშით 8 წლიანამდი ან მოხუცი მშობლები—მამა 55 წლიანს ზევით და დედა 50 წ. ზევით.

მესამე კატეგორიის შეღავათი—შრომის უნარიან ოჯახის წევრს, თუ რომ ოჯახში იმყოფება შრომის უნარიანი წევრი გასაწვევს გარდა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ რომ ორივე შრომის უნარიან წევრების მზრუნველობის ქვეშ იმყოფება სამი და სამზე მეტი შრომის უნარს მოკლებული ოჯახის წევრი.

მაგალითად: გასაწვევი თუ მას ყავს შრომის უნარიანი ძმა და ინახავს მშობლებს 45 წლიანზე ზევით და 2 მცირე წლოვან ძმას.

ვინაიდან მეტად მძიმე მდგომარეობაში ვარდება ის ოჯახი, რომელსაც ყავს ბევრი შრომის უნარს მოკლებული წევრი, ე.ი. პირველი კატეგორიის შეღავათიანთა ოჯახი, იმ შემთხვევაში ეს შეღავათს აძლევს შრომის უნარიან ოჯახის წევრს-გასაწვევს და სრულიად ათავისუფლებს მას კადრის ჯარებში სამსახურისაგან. თუნდაც რომ რაიმე მიზეზების გამო (გამწვევი კომისიის შეცდომები, თავის დროზე განცხადების არ მიცემა შეღავათის შესახებ). პირველი კატეგორიის შეღავათიანი ხვდება კადრის ნაწილში; ის საქმის გამორკვევის შემდეგ აუცილებლად დაბრუნებულ იქნება კადრის ჯარებისაგან და გაივლის სამსახურს ან ტერიტორიალურ ჯარების ცვალებად შემადგენლობაში, ან და სწავლობს სამხედრო საქმეს ჯარის გარეშე წესით საცხოვრებელი ადგილის დამიხედვით.

მეორე და მესამე კატეგორიის შეღავათები ყოველთვის არ ათავისუფლებენ კადრის ნაწილებში სამსახურისაგან. ამ გათავისუფლებას ადგილი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მუშურ-გლეხური წითელი არმიის ნაწილთა კადრის შემადგენლობას ავსებს უშეღავათო გასაწვევები, რომლებიც ცნობილი არიან სამხედრო სამსახურისათვის სავარგისად.

იმ შემთხვევაში, როცა კადრის ნაწილების შესავსებათ არა შეღავათიანი პირები საკმარისი არაა, შეიძლება გაყვანილი იქნან მესამე კატეგორიის შეღავათიანები, და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოთხოვნილების დასაფარავად საკმარისი არაა მესამე ხარისხიანები შეიძლება გაყვანილი იქნან მეორე კატეგორიის შეღავათიანები. ტერიტორიალურ ჯარების ცვალებად შემადგენლობაში შეიძლება გაყვანილი იქნას პირველი კატეგორიის შეღავათიანებიც.

ტერიტორიალური ჯარების ცვალებად შემადგენლობისათვის დაწესებულია შემდეგი რიგი მიღებისა, ე. ი. ჯერ გაიყვანებენ უშეღავათოს, შემდეგ მესამე კატ. შეღავათიანს, შემდეგ მეორე კატეგორიისას და უკანასკნელ რიგში, თუ რომ მოთხოვნილება არ შეივსო—პირველი კატეგორიის შეღავათიანებსაც.

მაშასადამე, ამ შემთხვევაში რაიმე შეღავათის მინიჭება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა მოთხოვნილება სავსებით შევსებულია გასაწვევი მოქალაქეებით, რომელთაც არა აქვთ შეღავათები.

### ვინ ითვლება ოჯახის წევრებად.

კანონის ძალით ოჯახის წევრებად ითვლებიან ყველა ნათესავები, თუნდაც შორეული, რომლებიც მართავენ ერთ მეურნეობას. ოჯახის წევრებად ითვლებიან აგრეთვე ის პირებიც, რომლებიც შემოსულან ოჯახში ქორწინების ან ჩასიძების გზით, მაგალითად, თუ რომ გასაწვევი პირი შევიდა ცოლის ოჯახში, ის ითვლება ამ ოჯახის წევრად, და არა თავისი ძველი ოჯახის წევრად. გლეხის ოჯახის შემადგენლობის გამოანგარიშების დროს მისი შემადგენლობიდან არ გამოირიცხებიან ოჯახის ის წევრები, რომლებიც დროებით წასულან ქირაზე, მაგალითად, საზაფხულო საამშენებლო მუშაობაზე და სხვა.

ოჯახის წევრები, რომლებიც იხდიან ნამდვილ სამხედრო სამსახურს წითელ არმიის კადრის ნაწილებში ან და ითვლებიან სამხედრო სკოლის კურსანტებათ, ოჯახის შემადგენლობის გამოანგარიშებისას არ უნდა იქნან ჩათვლილი ოჯახის შემადგენლობაში, რაიც უადვილებს ამ ოჯახებს შეღავათების უფლების მიღებას.

შეღავათის უფლებების განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღებიან მხოლოდ მეურნეობათა ის ოჯახური განაყოფები, რომლებიც სწარმოებულან გაწვევამდე არა ნაკლებ ერთი წლით ადრე, ე. ი. იმ წლის 1-ლ ნოემბრამდე, რომელიც წინ უსწრობდა გაწვევის წელს და გატარებული არიან სათანადო თემის ან რაიონის აღმასკომში.

# ამოსწავლო შეკრების დამთავრების წინ

## ჯამი გაუკეთეთ ჩატარებულ მუშაობას

მე 6 ლეგ. 8 ასეული

ხლო მომავალში დამთავრ- ა სამხედრო და პოლიტმე- ციენობა 1903 წელში და- ებულ ცვალებადელებთან. ) გამო ასეულმა ჯამი გაუ- ა მიმდინარე შეკრების პე- ოდში მთელ ნამუშევარს და ვრილებით ანგარიში იქნა ოყენებული ასეულის საერ- კრებაზე.

კრების დღის წესრიგში, რო- ოც შესდგა 20 ივლისს, მული იყო შემდეგი საკით- ი: 1903 წ. დაბ. წინასწარი დება და შეკრების შედეგე- საერთო შეკრება და მისი შემადგენლობა და წითელარმი- თა კონფერენციაზე გასაგ- ნ დელეგატების არჩევა.

პირველ საკითხზე ვრცელი ასენების შემდეგ გამოტანილი იქნა რეზოლიუცია, რომლითაც შეკრების შედეგები დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი, ხოლო მომავალი მუშაობის გაღრმავებისათვის მიღებული იქნა მითითებანი, რომ ყურადღება მიექცეს პროგრამის მთლიანად გავლას, ხელი შეუწყოს მეთაურთა და პოლიტშემადგენლობას, რომ შესაფერად შესძლონ ახალწვეულების მომზადება, მეტი ყურადღება მიექცეს ნაწილში ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენლებს და შეღავათების შესახებ საუბრები საერთო დათხოვნამდე ტარდებოდეს ნაწილში.

მეორე საკითხზე მომხსენებელმა აღნიშნა თუ როგორი ხასიათის მუშაობა უნდა ტარდებოდეს საერთო შეკრებების ჩატარებისათვის და მოუწოდა მოლაშქრეებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ და ჩაებან ყველა ახლად წამოწყებულ საქმეებში სოფლად.

კრებამ ერთხმად გამოიტანა დადგენილება, რათა ასეულის შემადგენლობამ სოფელში დაბრუნებისას გააცნოს გლეხებს: ჩვენი მიღწევები სამხედრო და პოლიტდარგში, გასწიონ აგიტაცია, რათა არც ერთი პირი არ ჩამორჩეს საერთო შეკრებას. წამოსულ ამხანაგების ოჯახებს აღმოუჩინონ ყოველმხრივი დახმარება და სხვა ასეთები.

დასასრულ კრებამ აირჩია წითელ არმიელთა უპარტიო კონფერენციისათვის დელეგატები.

ვ. სვანიძე.

## ხდება შევსებულებაში წასვლისათვის

მე 5 ლეგ. მე-2 ასეული.

ოახლოვდა ტერნაწილებში ფ 1902 წ. დაბ. ძირედ ადგენლობის წითელ არმიელე- გაშვების დრო. ასეულში ამის ო უკვე დაიწყო მათი მომზადე- სოფლად მუშაობისათვის. წი- ლ არმიელებს ასწავლიან თუ გორ უნდა ჩაებან გლეხკომებში, ოპერატივებში, საბჭოებში და კითხველოებში. როგორ უნდა იკრიბონ თავის გარშემო და ინტერესონ გლეხობა საერთო მუშაობით და როგორ უნდა აწარმოონ კულტურული და საგანმანათლებლო მუშაობა ფართო მასაში.

ასეულის მეთაურები დიდ ენერგიას ხარჯავენ წითელ არმიელების ჯეროვანი მომზადებისათვის.

ამ მეცადინეობას ახალწვეული წითელ არმიელებიც ესწრებიან და აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საუბრებში.

ნ. გიორგობიან.

## ემზადებით სოფლად მუშაობისათვის

მე-4 ლეგიონი.

ლეგიონში კარგა ხანია გაიხსნა ბიბლიოთეკო კურსები, რომელ- ც ამზადებს ბიბლიოთეკარებს სო- ფლებისათვის. კურსებზე 30 წი- ლ არმიელამდე ითვლება. წი- ლ არმიელები დიდი ყურადღე- ბით ექცევიან მეცადინეობას. და- ლებით ვსწავლობთ ყველა- ს რაც კი საჭირო იქნება სოფლის ქოხ-სამკითხველოებში მუშაობისათვის.

გვასწავლიან თუ როგორ უნდა დაუახლოვოთ გლეხებს წიგნი და ჩავაბათ სამკითხველოებში.

ამას გარდა გვამზადებენ აგრეთვე მოსახლეობის გასამხედროების ჩატარებისთვის.

შ. სამხარაძე.

### კინო მეხუთე ლეგიონში

20 ივლისს მე 5 ლეგიონში აჩვენეს კინო-სურათები „სიგნალი". წერები ითარგმნებოდა ერთ-ერთ ამხანაგის მიერ ქართულ ენა- , რამაც ძლიერ ასიამოვნა წითელ არმიელები. სურათის შინაარ- ღებული იყო წინანდელი სოფლის ცხოვრებიდან, სადაც ბატონ- ტონად ითვლება „კულაკი" და მღვდელი. კარგი იქნება ხშირად ჩვენებდენ ასეთ სურათებს.

განოვი.

## როგორ ვიწვრთნებით

მე-4 ლეგ. 3 ათასეული.

ამას წინად ათასეულის წითელ არმიელთა თაოსნობით მოწ- ილი იქნა ლიტერატურული გასამართლება. არაჩვეულებრივი დომებით ეკიდებოდენ წითელ არმიელები გასამართლებისათვის დებას. განაწილებული იქნა როლები დამცველებსა და ბრალმდე- ებს შორის, რომლებიც საფუძვლიანად მოემზადენ შეკამათებისა- ს. დანიშნულ დღეს მთელი ათასეულის შემადგენლობა და გარე- საზოგადოებაც დაესწრო გასამართლებას. არჩეული იქნა ნაფიც ულთა სასამართლო წითელ არმიელებისაგან. კამათი დიდი ინ- ესით იქხა მოსმენილი. წითელ არმიელებს მშვენივრად ჰქონდათ ვისებული სასამართლოს მიმდინარეობის ყველა წესები და მშვე- რად სწარმოებდა პროცესი.

გასამართლება დიდი ენტუზიაზმით ჩატარდა. კიდევ უფრო დი შთაბეჭდილება მოახდინა იმ გარემოებამ, რომ რამოდენიმე ს წინად წერა-კითხვის უცოდინარი არმიელები გასამართლებაში ვენივრად იჭერდენ თავს.

ი - ა.

### უსუფთაობა გვაწუხებს

აგერ ერთი თვე გადის თითქმის, რაც ცხენოსანი ლეგიონის მივ ბინაზე სამუშაოთ დარჩენილი წითელი არმიელები აბანოში გაუგზავნიათ. სამუშევარი ბევრი გვაქვს და ჭუჭყი აუარება გვე- ა. საჭიროა კვირაში თუ არა ორკვირაში ერთხელ მაინც ვიგზა- ბოდეთ აბანოში. მიუხედავად ამისა თვეობით არ ვიგზავნებით. ოა მოგვექცეს ყურადღება.

ხიმშიაშვილი

## ჩვენი ლენკუთხის მუშაობა

მე-4 ლეგ. 1-ლი ტყვიამფ. ასეული.

ასეულში ახალწვეულ ცვალებადელების მოსვლისთანავე იქნა ჩამოყალიბებული ლენინის კუთხე, სადაც იმ თავითვე იქნა დაწყებული დაკვრითი ხასიათის მუშაობა და ენერგიულად შეუდგა გამგეობა ცვალებადელთა კუთხეში მასიურად ჩაბმის საქმეს. ცვალებადელებმა სისტემატიურად დაიწყეს კუთხეში სიარული და კითხულობდენ ჟურნალ-გაზეთებს, ისმენდენ საუბრებს, ხმა მაღალ კითხვას და სხვა.

დიდ ყურადღებას აქცევდენ აგრეთვე საცნობო მუშაობას. თუ რაიმე გაურკვეველი აზრი წამოიჭრებოდა, მაგალითად სოფლის მეურნეობის ან სამხედრო საქმიანობის გარშემო, იმ წამსვე მიმართავდენ საცნობო ყუთს, საიდანაც მეორე დღესვე ღებულობდენ გარკვეულ პასუხს.

ამ ჟამად მიუხედავად იმისა, რომ ახლოა ცვალებადელების სახლებში გაშვების დრო, კიდევ უფრო ენერგიულად ეკიდებიან თვითგანვითარების საქმეს. განუწყვეტლივ კითხულობენ წიგნებს და იძენენ თვითგანვითარებას.

ივ ქარელი.

## ჩვენს სამხკორთა შორის

მე 6 ლეგ სკოლის სამხკორთა წრე.

აგერ ექვსი თვე სრულდება მას შემდეგ, რაც ლეგ. სკოლაში ჩამოყალიბდა სამხკორთა წრე. წითელ არმიელები ძლიერ არიან დაინტერესებული წრის მუშაობით.

დიდ აქტივობას იჩენენ ადგილობრივ კედლის გაზეთის გამოცემის საქმესა და კოლექტიური წერილების წერაში. კოლექტიური წერილები წრის მიერ ეგზავნება რომელიმე სოფლის ორგანიზაციას და აცნობენ მას ყაზარმული ცხოვრების პირობებს. წრე ღებულობს პასუხს აღნიშნული ორგანიზაციებიდან, რომლებიც თავის მხრივ აცნობენ წითელ არმიელებს სოფლის მდგომარეობას.

ამნაირად მიუხედავად იმისა, რომ ლეგსამხკორთა ორგანიზატორი ნაკლებ იდეურ ხელმძღვანელობას უწევს წრეს, ის მაინც სწორ ნიადაგზე სდგას და ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებს. კურსანტთა ფართო მასაში წრე დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობს.

ომერი.

# წითელი მებრძოლნი ბანაკში.

## კავშირი რუსულ ნაწილთან

მე-3 ლეგ. სკოლა.

ბანაკში გასვლისთანავე ლეგსკოლამ კავშირი დაიკავა რუსების მე-3 ლეგიონის სკოლასთან და მას შემდეგ ეს კავშირი უფრო და უფრო ღრმავდებოდა.

უკანასკნელად სკოლა 27 ივლისს ეწვია დაკავშირებულ რუსულ ნაწილს მთელი შემადგენლობით, რომ დაწვრილებით გავცნობოდით მათ ცხოვრების პირობებს და მუშაობა—საქმიანობას.

მოძმე ნაწილის კურსანტები დიდი აღფრთოვანებით შემოგვეგებენ. დაგვყვეს ჯგუფებათ, ამოგვიდგენ გვერდში და ჩამოგვართვნიეს მათი საცხოვრებელი ადგილები. ყველაფერზე იძლეოდენ დაწვრილებით ახსნა განმარტებებს, რამაც ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენს მოლაშქრეებზე.

საცხოვრებელი ბინების დათვალიერების შემდეგ, გაიმართა კერძო საუბარი, საღამოს კი გაერთიანებული ძალით რუსული ნაწილის კლუბში მოწყობილი იქნა სხვა და სხვა ინსცენიროვკები, სიმღერები, და სხვა. დასასრულ კი გაშვებული იქნა კინო სურათი, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლებიც მრავლად დაესწრენ.

როყუა.

## ღირსეული ხელმძღვანელი.

2-რე ლეგ. 2-რე ასეული.

ასეულში ძლიერ გამოცოცხლდა მუშაობა მწ. თავის გოცირიძის ჩვენთან გადმოყვანის შემდეგ. ამხ. ხელმძღვანელობს წერა-კითხვის მცოდნეთა ჯგუფს და ატარებს მათთან პოლიტსაათებს. მიუხედავათ იმისა, რომ ეს ამხანაგი ამ ორი თვის განმავლობაში სამსახურის გამო მივლინებული იყო ლეგშტაბში, ჩვენი ნაწილი მაინც არ მიუტოებია და ჩვეულებრივად სისტემატიურად ატარებდა ჩვენთან პოლიტსაათებს. ყოველ ორშაბათობით კი კარგ ხელმძღვანელობას უწევდა და უწევს ნაწილის პოლიტწრეს, რისთვისაც მადლობას უხდის მას მთელი ჩვენი ასეულის წითელ არმიელთა შემადგენლობა.

მ ტი.

## ძლიერ გვაინტერესებს სროლები

მე 2 ლეგ. 4 ასეული.

ჩვენი ასეულის შემადგენლობა თავიდანვე დიდი ინტერესით მოეკიდა სროლების წარმოების საქმეს. წითელ არმიელებიც სროლის იშვიათი მოყვარულები აღმოჩდენ ასეულში. ამ ჟამად შესწავლილი აქვთ ყველა ვარჯიშები. მიზნებში სროლა წარმატებით ტარდებოდა ყოველთვის მოხვედრები თანდათან ძლიერ იზრდებოდა პროცენტულად. გავიარეთ აგრეთვე ტყვიამფრქვევებზე სროლაც. გავეცანით, როგორც მსუბუქ ისე მძიმე ტყვიამფრქვევებს.

არც კულტურულ-პოლიტიკური ცოდნისა და მომზადების მხრივ ჩამოვრჩებით სხვა ნაწილებს. პოლიტსაუბრები ყოველთვის სისტემატიურად ტარდება ასეულში. არსებობს სხვადასხვა წრეები. გამოდის სისტემატიურად კედლის გაზეთი, რომელშიაც მრავალი წითელ არმიელები ღებულობენ მასში მონაწილეობას.

ბუაჩიძე.

## როგორ ვეხმარებით საშეფო სოფელს.

1-ლი ლეგ. 1-ლი ათასეული

ლეგიონს აყვანილი ყავს თავის შეფობის ქვეშ სოფ. დიღომი, სადაც აწარმოებს პოლიტ კულტსაგანმანათლებლო მუშაობას. სოფლის მცხოვრებთა დიდი უმეტესობა უცოდინარია, მიუხედავად იმისა, რომ იქ არის ოთხწლედი და სამეურნეო სკოლა, სამკითხველო, კოოპერატივი და სხვა. ამიტომ შეაჩერა ლეგიონმა თავისი არჩევანი ამ სოფელზე. ნაწილი ყოველმხრივ სცდილობს გაარკვიოს გლეხობა საჭირბოროტო საკითხებში. ამ მიზნით ლეგიონი ხშირად გზავნის იქ აქტიურ და მომზადებულ წითელ-არმიელებს. ისინი აკეთებენ მოხსენებებს საჭირო საკითხებზე და უკითხავენ გლეხებს ჟურნალ-გაზეთებს.

ლეგიონის ბანაკში გასვლის შემდეგ სოფელთან აქ დარჩენილ 1-ლ ათასეულს აქვს უშუალო კავშირი. ხშირად ათასეულის შემადგენლობაც მიდის სოფელში და მართავს საუბრებსა და წარმოდგენებს, რომლებსაც დიდი სიხარულით ხვდება ადგილობრივი გლეხობა.

ამ ჟამად განზრახული გვაქვს სოფელში კინო სურათების წაღება და გასამართლების მოწყობა.

ა ბურჭულაძე.

### კონცერტი წითელ არმიელებსათვის

ამ რამოდენიმე დღის წინად მეთაურთა სკოლის მესაკრავეთა გუნდმა გამართა კონცერტი. საღამო-კონცერტი მეტად შინაარსიანი გამოდგა და ბევრი ხალხიც მიიზიდა. გუნდმა შეასრულა სხვადასხვა ნომრები ქართულ და სხვა ოპერებიდან. განსაკუთრებით კარგად იქნა შესრულებული ცნობილი არიები „დაისიდან" და „თამარ ცბიერიდან". მესაკრავეთა ასეთ გამოსვლას მქუხარე ტაშით შეეგებენ ყველა დამსწრენი.

შ. ა—ლი.

### კინო-სურათი პირველყოფილი ცხოვრების შესახებ.

ცხენოსანი ლეგიონის კლუბში 21 ივლისს გვაჩვენეს კინო-სურათები პირველყოფილი ადამიანის ცხოვრებიდან. უდიდესი ინტერესით უყურებდა სურათებს წითელ არმიელთა მთელი შემადგენლობა. წითელ არმიელებმა თვალნათლივ იხილეს თუ როგორი საშვალებებით ებრძოდა პირველი ადამიანი ცხოვრებას და როგორ იბრძოდა არსებობისათვის. სურათმა ძლიერ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ხშირად უნდა გვაჩვენებდენ ასეთ სურათებს.

კოსტა.

### დავათვალიერეთ საკონსერვო ქარხანა

მე-3 ლეგიონის წითელ არმიელები წაგვიყვანეს ადგილობრივ კონსერვების ქარხნის დასათვალიერებლად. ნახევარი საათის მგზავრობის შემდეგ უკვე ქარხნის ეზოში ვიყავით. მუშებმა მხიარულად მიგვიღეს და დაწვრილებით ახსნა-განმარტება მოგვცეს ყველა საინტერესო საკითხებზე. ქარხნის დათვალიერების შემდეგ გავმართეთ საუბარი მუშებთან. განსაკუთრებით გვაინტერესებდა მათი ცხოვრების პირობები და სხვა. მუშები ყველაფერზე იძლეოდენ დაწვრილებითი პასუხს და ასევე მოითხოვდენ ჩვენგან.

მ. ქორიძე.

## ვემზადებით მანევრებისთვის

სამხედრო მეთაურთა სკოლა

სკოლაში უკვე მოთავდა ასეულების დამოუკიდებელი ტაქტიკური მეცადინეობა, რომელმაც დიდი შედეგი გამოიღო. ამჟამად სკოლა ემზადება სამანევროთ, სადაც შეერთებულად იმოქმედებს ყველა ნაწილები. მანევრებს მიზნად აქვს დასახული შეაჩვიოს კურსანტები დიდ ლაშქრობას.

ამას გარდა ვემზადებით რომ ამ დროს კარგათ შევისწავლოთ სოფლის ცხოვრება, მათაც გავაცნოთ ჩვენი მდგომარეობა, აუხსნათ სოფელს მათთვის საჭირ-ბოროტო საკითხები და დავეხმაროთ ყოველმხრივათ.

მიუთითებთ იქაურ პარტკომკავშირს მუშაობაში ნაკლოვანებებზე. დავსდგამთ ინსცენიროვკებს, წარმოდგენებს და ჩავატარებთ საუბრებს სხვა და სხვა თემებზე, რაც გაამაგრებს სოფლისა და წითელი არმიის შორის კავშირს.

სოფლელები გაიგებენ იმას, რომ წითელი არმიელის აღმზრდელთა სკოლაში, იზრდებიან მათივე შვილები რომლებიც გაუწევენ წითელ არმიელებს ხელმძღვანელობას პოლიტიკურ და სამხედრო დარგში.

ა—ლი.

## ვეხმარებით გლეხობას.

მე-3 ლეგიონი

სოფელში უკვე დაიწყო გაცხოველებული მუშაობა. გლეხები გაფაციცებით ინახავენ თავის ჭირნახულს, მაგრამ ქვრივ ობლები, რომლებსაც არა ყავთ მუშა ხელი გაჭირვებულ მდგომარეობაში ვარდებიან.

რის გამო ღარიბ და ქვრივ ობლების დასახმარებლად ლეგიონმა გამოჰყო საკმაო რიცხვი წითელ არმიელებისა, რომლებიც დიდის სიხარულით გაეშურენ გლეხების ყანებისკენ, ძოსთხოვეს გლეხებს ცელები და დაუწყეს პურის ყანებს მკა.

გლეხები დიდის აღტაცებით მეხვდნენ წითელ არმიელების ასეთ ქცევას და წამ და უწუმ იძახიან: —რომ ეხლანდელი ჯარი არის ნამდვილი ჩვენისთანა ღარიბებისა და ქვრივ ობლების ინტერესების დამცველიო.

მცირე ხნის მუშაობით წითელ არმიელებმა გლეხებს მოუმკეს რამოდენიმე დღის ყანა მიწები რომლის შემდეგ გამოეშურენ თავიანთ ბინისკენ. გლეხებმა დიდი მადლობა გადაუხადა წითელ არმიელებს და მათ ხელმძღვანელებს.

ნ. კალანდაძე.

**ცვალებადელო!** ნუ გასწყვეტ კავშირს შენს გაზეთთან! ფართედ გაავრცელე გაზ. „წითელი არმიელი" მოსახლეობაში.

# მომჭირნეობის რეჟიმი წითელ ჯარში

## მომჭირნეობის საუკეთესო მაგალითი.

ქართ. მეთაურთა გაერთ სკოლა.

სკოლის მესამე ასეულში გვქონდა ერთი გაფუჭებული „მაქსიმის“ სისტემის ტყვიამფრქვევი, რომელზედაც ვსწავლობდით იარაღის დაშლასა და აწყობას, მისი ნაწილების სახელებს და სხვა. ასეთი ტყვიამფრქვევი კიდევ იყო ცხენოსან განყოფილებაში, რომლებიც ტყვილა გამოუსადეგრად ეყარენ. საომარი მიზნებისათვის შეუძლებელი იყო მათი გამოყენება. ტყვიამფრქვევებს ყურადღება მიაქცია მეთაურ რაზმაძემ, შეუცვალა მათ ნაწილები და შესძლო ერთი საომარი ტყვიამფრქვევის დამზადება, რომელიც ოდნავ არ ჩამოუვარდება ახალ ტყვიამფრქვევს. ამნაირად ერთი კარგად მოწყობილი ტყვიამფრქვევი კიდევ შეეძინა ჩვენს ნაწილს.

შ ა—ლი.

---

# მოსპეთ ნაკლულევანებანი

## არ არის გაზეთები

მე-2 ლეგიონში ძლიერ ძუნწობენ გაზეთების გამოწერაზე. მარტო ადგილობრივ კედლის გაზეთები არ გვეყოფა. საჭიროა ნაწილი უზრუნველყოფილი იქნეს გაზეთების სათანადო რიცხვით, რომ შეგვეძლოს საერთო მდგომარეობის კურსში ყოფნა. კვირაში თუ დავინახეთ რომელიმე ლენინის კარავში ერთი რომელიმე გაზეთი დიდი საქმე იქნება, მაგრამ ახალი არც ის იქნება. გაზეთი 5-6 დღის თუ ჩაგვივარდება ხელში. დროა ნაწილმა სათანადო ზომები მიიღოს ამის შესახებ.

ა— ი.

### მეტი ყურადღება არის საჭირო

1-ლი ლეგ. 1-ლ ათასეულის 6-სე საყარაულოში არა გვაქვს წყალი.

საჭიროა გამოიყვანდენ წყალს საყარაულოში და გვიხსნიდენ უხერხული მდგომარეობიდან.

პლ. ძინძიბაძე.

### მოგვეცით ჩაიდნები

1-ლი ლეგიონის მეორე და მესამე ათასეულებს არა აქვთ ჩაიდნები. ათასეულები თითო ჩაიდნის ამარა არიან, რაც ძლიერ უშლის ხელს ჩაის სმის დროს წესრიგის დაცვას. ყოველთვის ერთი აურ-ზაური და ცილობაა. ამავე დროს ლეგიონის სკოლაში ზედმეტიც კი არის ჩაიდნები. საჭიროა ვისაც ეხება წესიერად გაანაწილოს ჩაიდნები და ბოლო მოუღოს უკმაყოფილებას.

პ. დანა.

---

# ნარევი

## სიმდიდრე ზღვების ძირზე

პარიზის ოკეანოგრაფიის ინსტიტუტის პროფესორი ა. ბერჟე აცხადებს საინტერესო ამბებს ზღვების ძირზე მყოფ სიმდიდრეების შესახებ. მისი გამოაანგარიშებით ვერცხლის, ოქროსა და პლატინის საერთო მარაგი, რომლის ამოღება შეიძლება ზღვიის ძირიდან და ზღვის წყლიდგან, ბევრჯერ აღემატება დედამიწაზე არსებულ მარაგს.

პროფესორ ბ—ს სიტყვით, რომ ამოღებულ იქნას მთელი ვერცხლი და განაწილდეს თანაბრად დედამიწაზე არსებულ მცხოვრებლებზე, თვითეულს შეხვდება 1-ნახევარ მილიონ ფრანკზე მეტი.

---

# პასუხი შეკითხვებზე

— გაგუას. საგარნიზონო საექიმო კომისიის დადგენილება შესრულებულ უნდა იქნას. მიმართედ ლეგიონის უფროსს.

— მაკარიძეს. ფეხსაცმელის დასაკერებელი ტყავი წ. ა. ხელზე არ ეძლევათ. ფეხსაცმელს დაგიკერებენ ნაწილში.

— ნარიმანიას. ამ წლის შემოდგომაზე იქნებით თუ არა განთავისუფლებული თავის დროზე იქნება განკარგულება.

— კაუბიძეს. სამოქალაქო ტანსაცმელის ტარების შესახებ წაიკითხეთ „წითელ არმიელი“ № 132.

— ხაბურძანიას. თქვენ უნდა ჩააბაროთ გამოცდები უფადშემადგენლობაზე.

— სტურუას. უვადო შვებულებაში წასვლის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში სარგებლობთ წ. ა. შეღავათებით.

— შონიას. გამსახლში გატარებული დრო არ ჩაგეთვლებათ ნამდვილ სამხედრო სამსახურში.

— ძუცოვს. უვადო შვებულებაში წასვლის შესახებ წაიკითხეთ „წითელ არმიელი“ № 139.

— ია-ს. ფეხსაცმელები გერგებათ. მიმართედ სამნეო ნაწილის უფროსს.

— მოცადინეს. თქვენი შეკითხვა ბუნდოვანია. არვიცით რომელ კურსებზე გინდათ შესვლა და ისე კი პასუხის გაცემა შეუძლებელია.

— ჯინჭარაძეს. ორი წლის სამსახურის შემდეგ დაგითხოვენ.

— ბოსეიშვილს. სუყველასი ერთად განთავისუფლება არ მოხდება. პირველ რიგში განთავისუფლებული იქნება ერთი ნაწილი და მეორე რიგში მეორე ნაწილი.

— № 1-ს. შეიძლება უფროსის ნებართვით.

— გურულს. შეუძლია წ. ა. „კომუნისტში“ მოათავსოს წერილები. თუ რისთვის არ ბეჭდავენ, ამის შესახებ მოელაპარაკეთ „კომუნისტის“ მდივანს.

— მასვე. სამხე დრო უწყებას შეუძლია მიგავლინოს მუშფაკში.

— ა. ქ-იას. სასწავლებელში სიარული შეგიძლიათ მხოლოდ თქვენი უფროსის ნებართვით.

— ჯოჯუას. ყოველი რკინის გზის ლიანდაგის მახლობლად მცხოვრები ვალდებულია მწყემსოს თავისი საქონელი და არ მიუშვას ლიანდაგის მახლობლად. რაიმე შემთხვევის გამო რკინის გზა ზარალს არ უხდის პირუტყვის პატრონთ. ასეთია საერთო წესი. თქვენ, როგორც წ. ა. და მასთან სახლში არავინ გყოლიათ ისეთი, რომელიც შესძლებდა საქონლის მოწყესას, ამიტომ ყოველ შემთხვევაში მიმართედ რკ. გზის მთავარ სამართველოს.

— ბენიას. პარტსკოლაში მიღების შესახებ უნდა მიმართოდ თქვენს სამხაომს.

— ვასაძეს. თუ ნაწილმა მიგავლინად მაშინ მოგეცემათ ის ჯამაგირი, რასაც ეხლა ღებულობთ.

ჭელიძეს. მიმართედ მიწადმოქმედების სააგრონომო განყოფილებას.

— ყანჩაველს. ყოველი მოქალაქე ვალდებულია გაიაროს სამხედრო სამსახური: კადრში ან ტერნაწილში.

— დაუშვილს. სამხედრო სამსახურში რომ პენსია მიიღოთ ამისთვის საჭიროა ოცი წლის სამსახური. მეფის ჯარში გატარებული სამსახური ჩაგეთვლებათ, თუ წითელ ჯარში მსახურებთ 1918 წ. 31 დეკემბრიდან. (რევსამხსაბჭოს ბრძანება № 285—26 წ.).

— ლ. გ-ძეს. დამზღვევი სალარო მუშა-მოსამსახურეს არ უქვითავს ჯამაგირიდან ფულს. ასეთს იხდის თვით დაწესებულება. თქვენ კი რატომ გიქვითავენ არ ვიცით. თუ დაზღვეული ხართ მოგეცემათ.

— ბახტურიძეს. გადასახადი ორივე ადგილზე გადახდებათ.

— არუშანოვს. ბინის ქირად თითეულ კვადრატიულ არშინში უნდა იხადოთ თითო კაპეიკი. აღმასკომის მიერ შეიძლება სრულიად განთავისუფლებულ იქნეთ ბინის ქირიდან, როგორც წითელ არმიელი.

— ახ-ძეს. თუ ბრძანებით ხართ გატარებული მაშინ გეკუთვნ ასეულის მეთაურის ჯამაგირი.

— მეტეხელს. თქვენ შეკითხვაზე რომ გიპასუხოთ ამისთვის ჭიროა ვიცოდეთ, თუ რამდენი წლის არიან ოჯახში დარჩენილ

— ცხომელიძეს. უნდა მიმართოო რკინის გზის მცველ რაზ უფროსს. თუ თავისუფალი ადგილი იქნა პირველ რიგში უნ მოგეცეთ.

— ო-შვილს. ტერნაწილში გადარიცხული არ იქნებით.

— ხ-ს. ბინის ქირად თითეულ კვ. არშინში უნდა იხადოთ შაუ

— ა-ლს. სახლის პატრონი წყლის ფულს ისე იხდის როგო სხვა დგმურები.

# ვის აქვს საწინაალმდეგო?

მე-6-ე ქ. მ. ლეგიონის უმცროს მეთაურთა სკოლის კომუჯრ დში შემოტანილი აქვთ განცხადება პარტკანდიდატათ მიღების სახებ შემდეგ ამხანაგებს: 1) აბესაძე პოლიკარპე გრიგოლის-ძე, (გ დამწერი, ა. ლ. კ. კ. წევრი 1924 წლიდან ქ. შორაპნის მცხოვრებ 2) სუქიაზოვ არმენ არშაკისძეს (წ. არმიელი. ა. ლ. კ. კ.—ს წევ 1925 წლიდან ქ. თბილისის მცხ.) 3) ღოლოძე გრიგოლი ვლადიმ რისძეს (ათის თავი. ა. ლ. კ. კ. წ. 1922 წ. რაჭის მაზრის მცხ ვრები.) 4) ჯიოევი გრიგოლი ივანესძეს (წ. არმიელი ა. ლ. კ. კ. 1923 წ. ცხინვალის მაზრის სოფელი მორგოსის მცხ.) 5. მაკრახ ივანე დავითის-ძეს (ა. ლ. კ. კ. წ. 1923 წ. გორის მაზრის სო ქვემო ხვედურეთის მცხოვრები).

კანდიდატობიდან წევრად გადარიცხვის შესახებ.

1) ამხ. ამხ. თორაძე ალექსანდრეს (პოლიტ-ლექტორი), 2) მ ქაია ბარნაბას (ათის თავი), 3) მუსერიძეს ომერ დავითისძეს (რ ჭის მაზრის მცხოვრები).

თუ ვინმეს საწინაალმდეგო გაქვთ აღნიშნულ ამხანაგებზე უ რედი გთხოვთ გვაცნობოთ 10 დღის განმავლობაში დღიდან გამ ქვეყნებისა.

---

მე-4 ხე ლეგიონის მე-4-ხე ასეულის 4-ხე კომუჯრედში შემო ტანილი აქვთ განცხადებები კ. პ. კანდიდატებთ კ. პ. წევრად გა დარიცხვის შესახებ. 1) მე-6 ასეულის ოც. მეთ. ჩხაიძე ანტონ კონ სტანტინეს-ძეს, 2) ამავე ლეგიონის მე-6-ე ასეულის მამასახლის ჯინ ჭარაძე ილია ფილიპეს-ძეს, 3) ამავე ასეულის ათ. მეთ. მაღრაძ ვასილი გიორგის-ძეს ითხოულობს კანდიდატათ გადარიცხვას და 4 ჭაფოძე ნიკოლოზ სტეფანეს-ძეს. თუ ვინმემ რაიმე უარყოფითი იცი მათ შესახებ გვაცნობეთ ათი დღის განმავლობაში მე-4-ხე ლეგიონ მე-4-ხე კ. უჯრედში.

---

1-ლ საარტილერიო ლეგიონის 1-ლ ბატარეის კომუჯრედშ შემოტანილი აქვთ განცხადებები კომკავშირის წევრობიდან კანდი დატათ გადარიცხვას და კანდიდატობიდან კ. პ. წევრად გადარიც ხვის შესახებ 1) ამხ. ხმიადაშვილი მაქრო გიორგის-ძეს თხოულობ კომკავშირიდან კანდიდატად გადარიცხვას და 2) მამალაძე ევტიხ თხულობს კ. პ. კანდიდატობიდან წევრად გადარიცხვას.

თუ ვინმეს რაიმე საწინაალმდეგო გაქვთ ამხანაგების შესახ გვაცნობეთ 6 დღის განმავლობაში 1-ლ ბატარეის კომუჯრედში.

1-ლ ბატ. პ. მ. მდივანი გვენცაძე.

---

1-ლ ცალკე მესანგრე ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვ განცხადებები პარტიის კანდიდატად მიღების შესახებ: 1) ადოლა შვილი გიორგის, 2) ხვთისო სვიმონიშვილს, 3) იოსებ კუზანოვს, 4 კამკამიძე მოსეს, 5) ენუქიძე დავითს, 6) ლომსაძე ლეონტის, 7) აბუ ლაძე შალვას, 8) დესპოტაშვილი გიორგის და 9) გიორგი ბლუაშ ვილს.

ზემოჩამოთვლილი ამხ-ბი არიან წითელი მოლაშქრეები. ვისაც აქვს რაიმე საწინაალმდეგო მათ შესახებ ვთხოვთ გვაცნობონ ათი დღის განმავლობაში.

1-ლი ცალკე მესანგრე ასეულის კომუჯრედის მდივანი

მურადოვი

---

მე-3-მე ლეგ. 1-ლ კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადე ბა კანდიდატობიდან გადარიცხვის შესახებ პარტიის წევრად შემ დეგ ამხანაგებს: 1) ჩიხრაძე მალაქია ანტონის-ძეს, 2) კოკელაშვი ლი თედო ზაქარიას-ძეს, 3) კობერიძე გერასიმე ივანეს-ძეს, 4) შენ გელია სილოვან კონსტანტინეს-ძეს, 5) წუწუნავა სევერიან გიორ გის-ძეს და 6) ანდრიბავა გრიშა ალექსის-ძეს. კომუჯრედი გთხოვთ ყველა იმ პირებს ვისაც რაიმე უარყოფითი მხარეები იცით ზე მო ხსენებულ ამხანაგებზე გვაცნობოთ 6 დღის განმავლობაში.

---

# ქიმია საზღვარგარედ

## სად რამდენი ქიმიური ნივთიერება მუშავდება

ყველა ბურჟუაზიული ქვეყნები გაცხოველებით ემზადებიან ისე განავითარონ თავიანთი ქიმიური მრეწველობა იმ ანგარიშით, რომ ომის შემთხვევაში ისინი არ იყონ დამოკიდებული საზღვარგარეთზე. ქიმიური მრეწველობის განვითარების გეგმა აშკარად მისდევს ომისთვის ქიმიურ მომზადების მიზნებს.

უკანასკნელ წლებში ამფეთქებელ ნივთიერებათა, მედიკამენტების, საღებავებისა და სხვათა წარმოება საზღვარგარედ საგრძნობლად გაიზარდა.

მსოფლიო ომამდი ყველაზე მეტად განვითარებული ქიმიური მრეწველობა ჰქონდა გერმანიას. სხვა ქვეყნები ამ მრეწველობას არ აქცევდენ სათანადო ყურადღებას და მეტ ნაწილად სარგებლობდენ შემოტანილ ქიმიური პროდუქტებით.

მსოფლიო ომმა გვიჩვენა ქიმიის მნიშვნელობა და ამიტომაც ყველა ქვეყნებმა ყურადღება მიაქციეს. ამის დასამტკიცებელია ის ანგარიშები, რომლებიც ახასიათებენ ქიმიურ მრეწველობის განვითარებას საზღვარგარედ.

### ამერიკა

ქიმიური მრეწველობის ყველა დარგმა, დაწყებული 1914 წლიდან 1920 წლამდი, საგრძნობლად გააფართოვეს ქიმიურ ნივთიერებათა დამზადების საქმე.

განსაკუთრებით გაძლიერდა ბენზოლის დამზადება: 1914 წელში ის მზადდებოდა 3 მილიონი ერთეული, 1920 წელში—70 მილიონი, ე. ი. ამ ნივთიერების წარმოება გადიდდა 23-ჯერ. ბენზოლი მიდის ზოგიერთ ამფეთქებელ და მომწამლავ ნივთიერებათა დასამზადებლად.

შემდეგ ავღლოთ საღებავის მრეწველობა, რომელმაც გააძლიერა თავისი წარმოება.

საღებავის გატანა ამერიკიდან გაიზარდა 96 პროცენტით. უნდა აღინიშნოს, რომ საღებავის მრეწველობა ომის დროს ამზადებს საბრძოლო მომწამლავ ნივთიერებას.

### ინგლისი

ინგლისში, 1923 წლის აგვისტოსათვის, ეთეროვან ქიმიური პრეპარატების, პარფიუმერიისა და საჭკურნალო საშუალებათა წარმოება გაიზარდა ორ ნახევარ მილიონჯერ.

განსაკუთრებით გაფართოვდა საღებავის მრეწველობა.

1922 წელში ინგლისის საღებავის მრეწველობა უკვე 80 პროც. იკმაყოფილებდა ქვეყნის მოთხოვნილებას საღებავ მასალების მხრივ. იმ დრომდის კი ეს მასალები შემოდიოდა ინგლისში უმთავრესად გერმანიიდან.

1921 წელში დაარსდა ქიმიურ ნივთიერების წარმოება ინგლისში. მშვიდობიან დროს ამმიანი სათანადო გადამუშავებით კარგი აზოტიური განოყიერებაა მინდვრებისთვის, ომიანობის დროს ის მიდის უმთავრესად ამფეთქებელ ნივთიერებათა დასამზადებლად.

### საფრანგეთი.

საფრანგეთში ქიმიურ პროდუქტების გატანა 1913 წლიდან 1921 წლამდი 645 მილიონ ფრანკამდი გაიზარდა.

მასთან ომამდი 95 პროც. ქიმიურ მოთხოვნილებისას საფრანგეთი იკმაყოფილებდა გერმანიიდან. ეხლა კი საღებავ მასალების შემოტანა შემცირდა 3 ჯერ.

საფრანგეთში წარმოიშვა აგრეთვე აზოტიურ ნივთიერებათა მრეწველობა.

გარდა ამისა 1921 წელში გაძლიერებულ იქნა კირის წარმოება.

### პოლონეთი

პოლონეთმა აგრეთვე გამოიყენა ომი თავისი ქიმიური მრეწველობის გასაძლიერებლად.

პოლონეთზე შეერთებული გერმანიის ყოფილ ოლქებმა—პოზნანმა და პომერანიამ მისცეს პოლონეთს 55 ქიმიური ფაბრიკა და ქარხანა. 1923 წლის დეკემბერში გაიხსნა ამფეთქებელ ნივთიერებათა ქარხანა.

ამ რიგად ქიმიური მრეწველობის განვითარება მიდის უმთავრესად იმ მიზნით, რომ ომის დროს გამოყენებულ იქნას ის ასივე პროცენტით. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველაზე მეტად განვითარდა ის ქიმიური წარმოება, რომლებსაც ექნება პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ომისთვის, ე. ი. რომლებიც დაამზადებენ საბრძოლო მომწამლავ ნივთიერებას.

ნ. რ.

---

# განცხადება

მე-4-ხე ქართულ მსროლელთა ლეგიონი ამით აცხადებს უფროს და საშვალო ცვალებად უფროსთა და პოლიტიკურ შემადგენლობის პირთა საყურადღებოთ, რომ მიმდინარე წლის 10 აგვისტოსათვის დანიშნულია აღნიშნულ პირთა საერთო შეკრება გიონში.

აღნიშნულ რიცხვისათვის ზემო-ნაჩვენებ კატეგორიის პირები ყოველივე საბუთებით უნდა გამოცხადდენ სათანადო მაზრების სამხედრო კომისარიატებში რკინის გზით გადასაყვან საბუთების მისაღებათ იმ ანგარიშით, რომ 10 აგვისტოს დილით იყვნენ ლეგიონის შტაბში.

სრულებით ან თავის დროზე გამოუცხადებლობისათვის, დამნაშავენი იქნებიან მიცემულნი პასუხის გებაში.

შენიშვნა: მაზრის სამხედრო კომისარიატებში გამოცხადდებიან ის პირები, რომლებიც სცხოვრობენ შტაბის ბინადრობიდან 25 კილ. ზევით დანარჩენი კი მოდიან პირდაპირ ლეგიონში.

ლეგმეთაური—სამხკომი ბელოვი

შტაბის უფროსი ბასილია

---

**დაკარგე** პარტბილეთი № 726309 ქართულ ცხენოსანი ლეგიონის მწყობრის თავის აკაკი ბექაიას სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

---

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კუცხოველის ქ. № 3 პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.